პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
22
აგვისტო
№ 196
(16322)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

გულითადი მადლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უხდიან საბჭოთა კავშირის ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს. ცალკეულ მოქალაქეებს, აგრეთვე მოძმე პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სოციალისტური და მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებმაც გულწრფელად და მხურვალედ მოგვილოცეს „სოიუზ-19“ საბჭოთა კოსმონავტი ვ. ბონდარენკოს პროგრამის [illegible] ფრენა-ალაფი [illegible] მეცნიერება, რომელიც [illegible] ერთად, აგრეთვე „სალიუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურითა და „სოიუზ-18“ სატრანსპორტო ხომალდით მეორე ეკიპაჟის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის დამთავრება, რომელმაც ორ თვეზე მეტ ხანს გასტანა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ჩამოვიდა რუმინეთის მთავრობის დელეგაცია

21 აგვისტოს მოსკოვში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული გამოფენის „რუმინეთი დღეს“ გახსნაზე ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი მ. მენესესუ.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მინისტრები ბ. ალმეშანი, ი. ავრამი, ნ. ოგაკა და ნ. ეონესკუ. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ შერემეტიევოს აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ტ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, სსრ კავშირის მინისტრი ვ. დ. შაშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ო. ა. ნუკანოვი.

დამხვდურთა შორის იყო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ბადრუსი. (საკენსი).

იდეოლოგიური მუშაობის პროგლემები

ლენინ როსტოვი, 21 აგვისტო. (საკენსი). ამ მუშაობა დღეს მთავრა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციამ, რომელზეც განხილეს იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციისადმი კომპლექსური მიდგომის საკითხი.

მოხსენეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. მ. სარაძის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ე. ნ. ოიკოკინის, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივნის ბ. ს. ანდრეევის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ი. ნ. ელჩენკოს მოხსენებანი.

მეცხოველეობას—მთელი გულისყური!

უზრუნველვყოთ მეცხოველეობა საკუთარი ნარმოების საკვებით!

საკვების დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1975 წლის 18 აგვისტოსათვის (პროცენტობით)

	სულ უბნებში საკვები	თივა	სენაჟი	სხვა უბნები საკვები	მზა სილოსი
ახალქალაქის	71	67	96	10	2
გოგდანოვკის	42	18	103	3	44
ახალციხის	94	44	105	57	3
ადიგენის	131	17	114	43	36
ასპინძის	93	42	100	27	13
ხაშურის	125	103	145	65	—
ქარელის	87	83	106	58	5
გორის	122	117	124	73	—
კასპის	81	62	116	55	—
ბორჯომის	59	27	87	18	25
საბარეჯოს	105	71	85	91	12
გურჯაანის	124	78	145	67	38
სიღნაღის	109	133	75	88	11
წიფელწყაროს	106	103	91	97	43
თელავის	84	61	69	76	0,3
ახმეტის	92	44	73	89	13
ყვარლის	99	40	56	88	1
ლაგოდეხის	85	63	44	88	2
ბარდავნის	147	149	96	108	—
მცხეთის	112	96	111	45	—
მარნეულის	109	50	145	98	9
გოლენისის	88	61	66	60	9
წალკის	53	31	99	6	35
დუშეთის	70	47	109	65	—
თეთრიწყაროს	82	63	91	49	16
დმანისის	59	30	87	44	29
თიანეთის	98	59	135	48	—
ყაზბეგის	11	11	—	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	65	39	95	38	—
წყალტუბოს	11	36	19	4	—
სამტრედიის	31	33	91	7	9
ფოთის	5	5	2	5	—
ვანის	22	44	41	4	4
მაიაკოვსკის	39	126	107	1	—
ზესტაფონის	34	69	51	11	—
თერჯოლის	40	115	132	18	—
ჭიათურის საქალაქო საბჭო	46	172	75	11	2
საჩხერის	49	90	108	19	6
ორჯონიკიძის	24	77	85	—	—
ტყიბულის საქალაქო საბჭო	1	13	—	—	—
ონის	59	65	30	—	7
ამბროლაურის	47	80	10	3	—
ცაგერის	30	59	60	—	—
ლენტეხის	20	22	—	—	—
აბაშის	18	17	66	—	—
ცხაკაიას	20	3	100	—	—
გეგეჭკორის	5	9	30	—	—
ზუგდიდის	14	19	38	—	—
ხობის	1	0,3	5	—	—
წალენჯიხის	3	—	15	—	—
ჩხოროწყუს	1	1	3	—	—
მახარაძის	2	—	20	—	1
ლანჩხუთის	14	3	76	—	—
ჩოხატაურის	2	4	5	—	—
აფხაზეთის ასსრ	12	23	24	1	1
აჭარის ასსრ	28	29	26	—	3
სულ	67	44	89	41	11

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

*) გეგმა-დავალების შესრულება.

პირუტყვის საკვების დამზადების პერიოდი შევიდა გადამწყვეტ ფაზაში. აგვისტო მიიწურა, სოლო სექტემბერსა და ოქტომბერში ძალიან ცოტა შესაძლებლობა რჩება საკვებით პირუტყვის უზრუნველსაყოფად. შემოდგომაზე ხომ უამინდობაც მოსალოდნელია. სათიბი ბალახები კი აღარც კი გვაქვნია. ამიტომ ახლა ყოველი დღე, ყოველი საათი წყვეტს წარმატების ბედს.

როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 18 აგვისტოს ცნობებიდან ჩანს ბევრგან დროულად იზრუნეს და კარგი შედეგიც აქვთ. მაგალითად, გორის რაიონში უხეში საკვების, აქედან თივისა და სენაჟის დამზადების დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულა. უხეში საკვების, თივის დაგროვების გეგმები ასევე გადაჭარბებით გაანადგეს სიღნაღის, წიფელწყაროს, გურჯაანის, გარდაბნის, ხაშურის რაიონებმა. ხაშურელებმა სენაჟის დამზადების დავალება 145 პროცენტით შეასრულეს, მარნეულელებმა — 145 პროცენტით.

მაგრამ რესპუბლიკაში საკვების დამზადების საერთო მდგომარეობა დამაფიქრებელია. უხეში საკვების დაგროვების დავალება შესრულებულია 67 პროცენტით, აქედან თივისა — 44 პროცენტით, სენაჟისა — 89 პროცენტით, ხოლო სილოსისა — 11 პროცენტით. თელავის რაიონში თივის დამზადების გეგმა შესრულებულია 61 პროცენტით, სენაჟისა — 69 პროცენტით. მსგავსი მდგომარეობაა ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, ბოლნისის, წალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებში. მართალია, გვალვებმა შეაჩერა ბალახების ზრდა-განვითარება. მაგრამ საჭიროა არც ერთი მტკაველი სათიბი მიწა არ დარჩეს გაუთიბავი. ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ სამარცვლად ასაღები სიმინდის ჩალის დროულად დამზადებისათვის. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი კილოგრამი ჩალა. ეს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებმა უნდა გათვალისწინონ.

ქმედითი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ყუათიან-წვნიანი საკვების — სილოსის დამზადების ტემპის გასაძლიერებლად. დროულად უნდა ავიღოთ სასილოსე მასა, სანიმუშოდ დავამუშაოთ სასილოსედ ნათესი სიმინდი. მეტი ყურადღება დავუთმოთ სასილოსედ ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ძირხვენების ნარჩენების გამოყენებას.

მთელი ძალები მოვახმაროთ საკვების დამზადებას! ახლა ეს ახლა მთავარი ამოცანა.

სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის
სოციალისტური შეჯიბრების შესახებ
სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXV ყრილობის მოწვევის შესახებ მხურვალედ გამოეხმაურნენ კომუნისტები, ყველა მშრომელნი და მან საბჭოთა ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

ბევრი საწარმოს კოლექტივებმა, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ურალის, ციმბირის, სხვა რაიონების, ქალაქების, ოლქებისა და რესპუბლიკების წარმოების მოწინავეებმა, რომლებიც განაგრძობენ და ავითარებენ საბჭოთა ხალხის სახელოვან ტრადიციას — ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ ხოლმე მშობლიური პარტიის ყრილობას, გამოიჩინეს დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები და თაოსნობანი. იკისრეს გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად. ისინი მიზნად ისახავენ წარმოების გადიდების რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევას. ყრილობისწინა შეჯიბრების ინიციატორებმა მიმართეს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს ყრილობის გახსნამდე დარჩენილ დროში ამრავლონ თავიანთი ძალა და ენერგია, ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნან მაღალი შრომითი ენთუზიაზმის ატმოსფერო, დადგნენ დამკვრილური შრომითს ვახტზე. ჩვენი ქვეყნის კომკავშირელები და ახალგაზრდობა ჩაებან მოძრაობაში დევიზით: „ხუთწლედს — გამარჯვებული ფინიში! სკკპ XXV ყრილობას — ღირსეული შეხვედრა“. „პარტიის XXV ყრილობისადმი ლენინური კომკავშირის პატაკზე ხელის მოწერის უფლებისათვის“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს ამ ინიციატივებსა და წამოწყებებს, მათში ხედავს საბჭოთა ადამიანების მასობრივი პატრიოტიზმის მკაფიო გამოვლინებას, მათს განუხრელ სწრაფვას — განახორციელონ პარტიის მიერ დასახული გეგმები, და მოუწოდებს კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მშრომელს მიბაძონ მოწინავეთა მაგალითს.

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა დაჩქარებული ტემპებით ვითარდება. წარმატებით შესრულდა წლის პირველი ნახევრის დავალებანი, გადაჭარბებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო წარმოების მოცულობა, რეალიზებულია 4 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია. თანმიმდევრულად ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, უზრუნველყოფილია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ დროში უნდა განხორციელდეს დიდი მოცულობის სამუშაოები მრეწველობისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში, უნდა გადაწყდეს ბევრი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლებიც მიზნად ისახავენ წლის მეორე ნახევრის დაძაბული გეგმების რეალიზაციას, ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროზე ამუშავებასა და ათვისებას, გეგმების შესრულებაში იმ ჩამორჩენის დაძლევას, რაც დაშვებული იყო მთელ რიგ საწარმოებსა და ცალკეულ დარგებში. სოფლის მეურნეობაში მაქსიმალურად შესაძლებელი უნდა გაკეთდეს მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, საკვების დაგროვების წარმატებით დამთავრებისათვის, პირუტყვის მომავალი გამოზამთრების ორგანიზებულად ჩატარებისა და საგაზაფხულო თესვის მომზადებისათვის.

ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა ბევრად განსაზღვრავს დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის საერთო შედეგებს, მეათე ხუთწლედის წარმატებით დაწყებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

მოწონებულ იქნას მშრომელთა კოლექტივების, წარმოების მოწინავეთა ინიციატივა, რომლებმაც იკისრეს გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი და რომლებიც დადგნენ სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის დამკვრელურ შრომითს ვახტზე.

წინადადება მიეცეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანოებს ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით მთელი მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ისე წარმართონ, რომ განამტკიცონ და განავითარონ მთელი ხალხის შრომითი აქტივობის აღმავლობა. მოწინავეთა გამოცდილებასა და ინიციატივაზე დაყრდნობით სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას მისცენ საყოველთაო-სახალხო გაქანება, ჩაებან მასში ყველა მუშა, კოლმეურნე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რათა თვითეულმა მშრომელმა, თვითეულმა კოლექტივმა თავისი მაღალნაყოფიერი, თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეიტანოს საწარმოო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში. ყრილობისწინა შეჯიბრებაში მთავარი ყურადღება მიექცეს დამატებითი რეზერვების გამოძებნას იმ კონკრეტული ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის, რომლებიც დასახულია პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, პარტიის ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა პარტიულ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებში განიხილონ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ამოცანები.

ღრმად და კრიტიკულად გააანალიზონ მუშაობის შედეგები, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას. უფრო სრულად გამოიყენონ მატერიალური და მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმები წარმოების მოწინავეებისა და საწარმოო კოლექტივების მიმართ, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სამინისტროების, უწყებების, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ისინი პასუხს აგებენ სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად სათანადო პირობების შექმნისათვის. საქვეუწყებო საწარმოთა საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის დროულად გადაწყვეტისათვის.

პრესის ორგანოებმა, ტელევიზიამ და რადიომ ყოველმხრივ გააშუქონ ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და შედეგები. უფრო სრულად ასახონ მოწინავეების, საწარმოთა კოლექტივების მუშაობის მიღწევები და გამოცდილება, მათი ბრძოლა იმ უფლებისათვის, რომ დაიმსახურონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და სამახსოვრო ნიშანი „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის“.

შემოიღონ თემატური რუბრიკები ყრილობის შესახვედრად, მოაწყონ მეცხრე ხუთწლედის მოწინავე ადამიანების, საწარმოთა, სამეურნეო ორგანოთა, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა რეგულარული გამოსვლები პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

მოსკოველთა გამარჯვება

მოსკოვის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის დავალებანი მრეწველობის დარგში

მოსკოვის მშრომელები, რომლებიც აბარებენ ლენინურ გადაწყვეტილებებს, ალფრთოვანებენ ყრილ ბუმანის საარმენო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში გამოთქმული მოსკოველთა შრომის მაღალი შეფასებით, — ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ვადამდე, 19 აგვისტომ, შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა. პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 37,6 პროცენტით ნაცვლად 34,1 პროცენტისა, რასაც ხუთწლედი ითვალისწინებს. ყველაზე მაღალ ტემპს მიაღწიეს ელექტრომექანიკური, ელექტრონული მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ჩარხმშენებლობისა და სხვა დარგების საწარმოებმა. რომლებიც განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში. პროდუქციის გამოშვების მთელი მატება მიიღეს ზრდის ხარჯზე შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 37 პროცენტამდე ამ მიმართ რაც აღემატება დადგენილ დავალებას.

შეჯიბრების დროს დიდაქალაქის საწარმოებში ეშვა და ფართოდ გავრცელდა ბევრი საყურადღებო ჰატრიოტული თაოსნობა და წამოწყება. 300 ათასმდე შრომის მოწინავემ და ნოვატორმა შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმები.

მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვებაში გადაჭარბებულია ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დაგეგმილი წარმოების დონე მიმდინარე წლის დასასრულამდე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ რამდენიმე მილიარდი მანეთის პროდუქციას.

მიმდინარე ხუთწლედის წლებში განხორციელდა საწარმოთა შემდგომი რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის. შრომის ორგანიზაციის სრულყოფის დიდი ღონისძიებანი.

ქალაქის საწარმოებში ათვისებულია ორი ათასზე მეტი ახალი სახეობის მანქანის. მოწყობილობის, აპარატისა და ხელსაწყოს წარმოება. ხარისხის ნიშანი მონიჭა 2.300 ნაწარმს.

მრეწველობაში სორციელდება დიდი მუშაობა ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის. მოგება ერთნახევარჯერ გაიზარდა.

მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა მრეწველობის კონცენტრაციისა და წარმოების მართვის სრულყოფისათვის. ქალაქში შეიქმნა 108 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს.

ამჟამად დიდაქალაქის ასობით სამრეწველო საწარმომ შეასრულა წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

ქალაქ მოსკოვის მშრომელები, ითვალისწინებენ რა არსებულ დიდ საწარმოო რეზერვებს, ისახავენ საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი და მატერიალური რესურსების უკეთ გამოყენების. და, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უფრო მაღალ ამოცანებს. ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს ჩაის მრეწველობის საწარმოებმა შეასრულეს ხუთწლედი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის დავალებანი. მრეწველობის მიერ მიღწეულ წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელოვნებამ შრომამ, რომლებმაც ჩაის ფოთლის კრეფის დასაწყისში, და, საერთოდ, მომდინარე წელსაც, არაჩვეულებრივი ამინდის პირობებში მეოხებისადად მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს და მრეწველობა უზრუნველყვეს საგეგმო დავალებებზე გაცილებით მეტი რაოდენობის ნედლეულით.

მიიღეს რა გამარჯვების ესტაფეტა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატებისაგან, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის მუშაკებმა ვადაზე გაცილებით ადრე შეასრულეს მთლიანი პროდუქციის ხუთწლიანი გეგმა. **გამომუშავებულია 2 მილიარდ 72 მილიონი მანეთის პროდუქცია. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 657 ტონა ნატურალური ხარისხოვანი ჩაი. 4.343 ტონა მწვანე აგურა ჩაი, 3.618 ტონა პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი.**

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება უზრუნველყვეს **მახარაძის, წყალტუბოს, წულუკიძის, ზუგდიდის, ქობულეთის, გალის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის საწარმოო** გაერთიანებათა საწარმოებმა.

მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. მრეწველობის მიერ გამომუშავებული 44,2 ათასი ტონა ბაიხაო ჩაიდან უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქცია 31,7 ათასი ტონაა.

ჩაის წარმოების ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩნენ თავი **ორპირის, სამტრედიის, მახარაძის № 1, ლანჩხუთის, ზუგდიდის № 1, დიდი ჭყონის № 1, ჩაქვის № 1, ჩოხატაურის № 2, გუდაუთის ჩაის ფაბრიკების, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის, ჩაქვისა და ზუგდიდის ჩაის საწნები ფაბრიკების კოლექტივებმა.** შეჯიბრების მონაწილეთა ავანგარდში არიან ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის მეკუპაჟე, სოციალისტური შრომის გმირი **ბ. ლაგვილავა,** გურიანთის ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელი **ა. გრეგენიუკი,** თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მემანქანეები **ე. ფირანიშვილი, ნ. თორაძე** და სხვები.

დარგის მშრომელები ახლა იბრძვიან იმისათვის, რომ მეცხრე ხუთწლედის დამლევამდე გეგმის ვადამეტებით გამოიმუშაონ: ნატურალური ხარისხოვანი ჩაი — სულ ცოტა 14 ათასი ტონა, მწვანე აგურა ჩაი — 4 ათასი ტონა, პირველადი გადამუშავების ბაიხაო ჩაი — 36.400 ტონა, სულ 223 მილიონ მანეთისაზე მეტი; მთლიანი პროდუქცია გაზარდოს 537 მილიონ მანეთამდე, გეგმით გათვალისწინებული 512 მილიონის ნაცვლად. ამის შედეგად **წარმოების ზრდის ტემპი ხუთწლედში შეადგენს 40 პროცენტს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 17,9 პროცენტის ნაცვლად.** (საქინფორმი).

რკინიგზელებს—გარდამავალი დროშა

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზის სადგურის (უფროსი მ. გეგია) კოლექტივმა პირველი და მეორე კვარტალების მუშაობის შედეგების გაიმარჯვა შეჯიბრებაში და სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მოიპოვა.

ჭიათურელმა რკინიგზელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შრომის ტემპი. შვიდი თვის დავალების გადამეტებით დატვირთეს და გადაზიდეს 99.805 ტონა ტვირთი და გეგმა გადაჭარბებით შესრულეს. ვაგონების მოცდენა 0,3 საათით შეამცირეს.

ხ. კუპატაძე.

ზეგეგმითი სენაჟი



ახალციხეში რაიონის წყალთბილას მექარტოფილეობის ნაშეთა მეურნეობაში მომდინარე წელს იქმნება მეცხოველეობის ფერმებისათვის საკვების წლიანხელვრის მარაგი. აქ უკვე ჩადეს 1.200 ტონა სენაჟი, მომდინარეობს თივისა და ნამჯის დამზადება. სურათზე: სენაჟის ზეგეგმითი ჩადება წყალთბილას საბჭოთა მეურნეობაში.

ბ. ბერკასოვის ფოტო.

დამამთავრებელი წლის პრობლემები

წინსვლის რეზერვები

ჩვენი წარმატებები გაცილებით შეტი იქნებოდა, რომ საბოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვებს უფრო სრულად და ეფექტიანად ვიყენებდით, შრომა და შემოქმედება ყველგან განუყოფელ ცნებად რომ მიიჩნდეთ.

რესპუბლიკის ყველა საწარმოში როდი იჩქნობოდა სწრაფვა სიახლისაკენ, მაღალნაყოფიერი, ორგანიზებული შრომისაკენ. საწარმოთა ეზიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ აიღო ის სტარტი, რაც საჭიროა დამამთავრებელი წლის დაძაბულ სიგეგმო დავალებათა შესრულებისათვის.

ზოგიერთ საწარმოში შეიმჩნევა ასეთი ტრასსაამოვნო ფაქტი: სოციალისტური ვალდებულებების შეტანა ეზიშვნელოვანი პუნქტების შესრულება, რაც დაკავშირებულია მოშაობის ხარისხობრივ ფაქტორებთან — გადატანილია წლის ბოლო თვეებზე. სიმძიმის ცენტრის წლის ბოლო თვეებზე გადატანა კი არა მარტო ამ საწარმოთა ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, არამედ მთელი რესპუბლიკის ვალდებულებების შესრულებასაც საფრთხის წინაშე აყენებს. ამგვარი „წინასწარ დაგეგმილი ავარიშობანას“ ლოგიკური შედეგი არის წარმოების დეზორგანიზაცია, ფორმალიზმი შეკიბრებაში და, ბოლოს, საგეგმო დავალებათა ჩავარდნა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით რეალიზაციის ეკრანი თვის გეგმა ვერ შესრულა 93 საწარმომ (ანუ საწარმოთა 9.5 პროცენტმა), მათ ვერ გაასაღეს 21 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია.

საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალისტურ ვალდებულებებს ეკ არა. ძირითად გეგმასაც ვერ ასრულებს.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა აქვს რუსთავის უუნარობით ჩგენ ჯერ კიდევ ძალიან ბეგრგან და ძალიან ბეგრს ვკარგავთ ყოველ ნაბიჯზე. მეცხრე ხუთწლედის ფინიშში, როგორც ეს პლენუმზე სკკპ ეინტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ტაბბოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში ეკონომიკისა და თვითკრიტიკის ვდგომარეობის შესახებ“ საჭიროა ადაჭრით გავიღლაშქროთ ხელმძღვანელის ისეთი მისწრაფების წინააღმდეგ, რომ ობიექტურ მიზეზებს დაბრალოს საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობა.

ვერ შესრულა... დაეკლო... ჩამორჩა, აი, თბილისის ყაბეოლური დარეგის ფაბრიკის სამეურნეო მდგომარეობის დიასაბეთებისათვის ყველაზე გამოსადეგი, ყველაზე შესაფერი სიტყვებია.

საწარმოს ეკონომიკა წლიულს სოციალისტური ვალდებულებით და შემზეიერი გეგმით ოკისა გამოუშვია 500 ათასი მაწეთის ზეგეგმური პროდუქცია. ექვსი თვის მონაცემებით კი საწელიწეფოს დაეკლო 1 მილიონ 6 ათასი მანეთის პროდუქცია. წლიულს საწარმო დაეგეგმილია 1 მილიონი მანეთი ზარალი, მარტო 6 თვეში კი ზარალმა მილიონ 20 ათას მანეთს გადაეჭრა.

„1 წუთის მოცდენა 90 მანეთი ზარალია ფაბრიკისათვის“; „ხუთწლედი — ვადამდე“; „წინა მოშაობაში სამარცხეინოა“, — გვაოწყებენ ფაბრიკის ტერიტორიაზე მოთავსებული სტენდები, პლაკატები, მაგრამ სულ სხვის გვაოწყებს ფაბრიკის სამეურნეო საქმიანობის შედეგები: **1974 წელს აქ არასაპატიო მიზეზით გაცდა 7.830 კაც-დღე. წლიულს 6 თვეში კი არასაპატიო მიზეზით 4.629 კაცდღე დაიკარგა. (მთელი ნამუშევარი დროის 3.8 პროცენტი). შარშან არამწარმოებლურმა ხარჯებმა შეადგინა 401 ათასი მანეთი (მათ შორის უხარისხო** ლითონკონსტრუქციებისა და გარდაბნის მუყაოურებეროიდის ქარხნების, თბილისის ყაბეოლური დარეგის ფაბრიკის, თბილისის საბეხი ჩარხების ქარხანის, ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატს, ცხაკაიას, ხალიჩების კომბინატს, შოულავრის თევის ფაბრიკას და სხვ.

ისიც უნდა ითქვას, რომ საწარმოებს ერთმა ნაწილმა, მართალია, მიაღწია მაღალ მაჩვენებლებს საერთო პროდუქციის, რეალიზაციის გეგმების შესრულებაში, მაგრამ დამშვიდდნენ მიღწეულით, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საქმის ხარისხობრივ მხარეს, დანაბარჯების შემცირებას, ხარისხს, ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულებას. ჯერ კიდევ ცუდად არის ორგანიზებული ბრძოლა პროდუქციის მასალატევადობის შესამცირებლად, კმლავ დიდი წუნი, ინახავენ ზედმეტ სამმართველო აპარატს. ამგვარი ნაკლოვანებები კი ბევრი უკდება სახელმწიფოს.

დაძაბული გეგმების ეფოო შესრულების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სიძნელეებისა და ნაკლოვანებების დაძლევა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. საწარმოთა არა მარტო დამატებითი ვალდებულებები, ზოგჯერ ძირითადი გეგმებიც კი ყოველთვის მთლიანად როდია უზრუნველყოფილი სათანადო რესურსებით, რაც იწვევს ჯაჭვურ რეაქციას — მოწყობილობის, საშეო ძალის მოკდენებს, პროდუქციის თვითღირებულების ზრდას.

რეზერვები თავისთავად არ აღმოჩენენ. მას ადამიანები ავლენენ, წარმოების ზრდის შესაძლებლობა რომ რეალურად იქცეს, საკმარისი რაოდენობით მხოლოდ პროცენტის წონა, მაგალითად, საეფთო-საკავშირო, ან რესპუბლიკის მრეწველობის, თუნდაც ჩვენი წარმოების მასშტაბით. ამის ცოდნა აუცილებელია, მაგრამ სამყაროსი როდია. პარტიის მიერ დასახული წარმოების ინტენსიფიკაციის კურსის თანამიმდევრული განხორციელებისათვის (ეს კურსი კი, როგორც ცნობილია, სულილება მიმდინარე ხუთწლედას. თარგალებს), ყარგად უნდა ვიცოდეთ უშუალოდ ჩვენს სამეშაო ადგილზე არსებული რეზერვები, ვიცოდეთ, სად რამდენი გეგიკარგება, უნდა შევეძლოს შედარება, ანალიზი — მოკლედ, გარკვეული აზრით შენს სამუშაო ადგილზე მეიროკონომისტიც უნდა იყო. სხვანაირად დღეს შორს ვერ წავალთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წარმოგიდგება ნათლად ჩვენი როლი საწარმოშიც და მთელ საზოგადოებრივ წარმოებაშიც, უკეთესად გავიგებთ თვითეულ წუთს, თვითეულ გრამი ნედლეულისა და სათბობის, თვითეული პროცენტის ფასს, მივაგებთ საუკეთესო გადაწყვეტას, შეეცდებით გამოიშვათ მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

სამწუხაროდ, რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების

> **● უხეირო დასაყენი**
> **● ვალდებულებები... ჯაღალდზე ● რეზერვები და ადამიანები ● ეკონომხრივი ანალიზი, კომპლექსური მიდგომა.**

პროდუქციის წარმოებისათვის 395 ათასი მანეთი). წლეულს 6 თვეში კი არამწარმოებლურმა ხარჯებმა 305 ათას მანეთს გადააჭარბა — უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის თითქმის 200 ათასი მანეთი გადაიხადეს. გამოშვებული ნორმები საწარმოში საშუალოდ 117,5 პროცენტით სრულდება. ამიტომ, რომ მათ ნაბეჭავის ტექნიკურად დაუსაბუთებელი ნორმები შეადგენს. მოკლედ, საწარმოს ვალდებულებები დარჩა მხოლოდ ვალდებულებად, შეუსრულებელ პირობად.

გეგმების შესრულების პროცენტი ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება ჩამორჩენის ობიექტური ნამდვილ სურათეტურ მიზეზებზე, ამიტომ, მოდით, „გავიხედოთ პროცენტებს იქით... სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საწარმოს წლების მანძილზე დაუსაბუთებელი, არარეალური გეგმა აქვს დაწესებული. მართალია, წარმოების მთავარ უბანზე დანერგილია ახალი, უნიკალური სავარცხნი და საფთილე მანქანები, მაგრამ წარმოების სხვადასხვა უბნების სიმძლავრეები, კერძოდ, მოსამზადებელი და სართავი წარმოების სიმძლავრენი აშკარად არ შეესაბამებიან ერთმანეთს, რის გამოც არც თუ იშვიათად ირღვევა მანქანა-დანადგარების ექსპლოატაციის ნორმები. ნახევარფაბრიკატების გაყიდვის, ნომენკლატურის დარღვევის გზით გეგმების შესრულების ორიენტაცია კი შექმნილი მდგომარეობიდან საეკეთესო გამოსავალი როდია. სხვას რომ თავი დავანებოთ, იგი საფრთხის წინაშე აყენებს მოზმარეველი ორგანიზაციების გეგმების შესრულებას. ფაბრიკა საჭიროებს ზემდგომი ორგანოების აქტიურ, გადაოდებელ დახმარებას. ისეთ დახმარებას, რომელიც არ მარტო დროებით აღმოფხვრის, აწ შეასუსტებს ჩამორჩენის მიზეზებს, არამედ შექმნის მუშაობის სტაბილურ პირობებს.

მაგრამ ფაბრიკის ჩამორჩენა მარტო ობიექტური პირობებით როდია გაპირობებული. ჩამორჩენის მთლიანად დაძლევა თუ არა, მისი მკვეთრად შემცირება მაინც შეიძლებოდა, რომ საწარმოს კოლექტივი ყველა შესაძლებლობას მაქსიმალურად იყენებდეს. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობა ფაბრიკაში საკმაოდ არის. როგორც აღვნიშნეთ, ფაბრიკა აღჭურვილია მაღალმწარმოებლური მოწყობილობით. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დონე კი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. თანამედროვე პირობებში რაიმე სერიოზული წარმატებებზე ფიქრიც ზედმეტია, თუკი საწარმოს არა ჰყავს ეკონომიური სამსახურის ძლიერი ბურო. საწარმოს ეკონომიური სამსახურის ეფექტიანობა ეკონომიკურ ანალიზზე, ეკონომიური ანალიზი — ეს ეს ... ეკონომიკურ ანალიზზე, ეკონომიკურ ანალიზზე, ეკონომიკურ ანალიზზე.

საქმეს ჯარიმები ვერ უშველის

რატომ ცდება ვაგონები?

სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ტრანსპორტს. მას ერთ-ერთ მთავარ სასიცოცხლო არტერიას უწოდებენ. რესპუბლიკაში ტვირთების საერთო რაოდენობის 70 პროცენტზე მატის გადაზიდვა სწორედ რკინიგზით ხდება. ვაგონების გამოყენების სრულყოფილი ორგანიზაცია და ზენორმატიული მოცდენების შემცირება დიდი მნიშვნელობის საქმეა. რესპუბლიკის რკინიგზის სატვირთო სადგურებში სისტემატურად უმჯობესდება დასატვირთ-გადმოსატვირთი პარკების მუშაობის ორგანიზაცია, ინერგება ახალი მექანიზაცია, იხვეწება ტვირთის მიღებისა და აღრესატებისათვის დროულად შეტყობინების, ინფორმაციის მიწოდების ფორმები. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რკინიგზას ტვირთბრუნვის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში გარკვეული წარმატებები აქვს. და მაინც ეს საკმარისი არ არის, ვაგონების მოცდენის შემცირების ბევრი რეზერვი და საშუალება ჯერ კიდევ გამოუყენებელი რჩება.

მიღწეულთა მიღმა ბევრი ხარვეზი ისალება. რატომღაც ვაგონების უქმად მოცდენებმა იმატა. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს რკინიგზის სადგურებსა და ჩიხებში ნორმის ზევით გაჩერებული იყო 92,2 ათასი ვაგონი, რომელთა ზენორმატიული მოცდენა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა და 978,5 ათასი ვაგონსაათი შეადგინა. იმატა ჯარიმების რაოდენობამაც და ამ გზით ამოღებულმა თანხამ 530,2 ათას მანეთს გადააჭარბა.

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, მომსახურებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდის დღევანდელ პირობებში აღნიშნული ნაკლოვანებები საგულისხმოა და დამაფიქრებელიც. რა არის ასეთი მდგომარეობის მიზეზი? ვაგონების არარაციონალურად გამოყენების, მათი ზენორმატიული მოცდენების ზრდა ძალიან ხშირად თვით რკინიგზის ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობას უნდა მივაწეროთ. ჯერ კიდევ საერკინიგზო მეურნეობის ყველა ხელმძღვანელი არ გრძნობს იქ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აკისრია, და საქმეს სახელმწიფო ინტერესების ნაცვლად უწყებრივი პოზიციებიდან უდგება. არც ის არის საიდუმლო, რომ ზოგიერთი მათგანი იმით კმაყოფილდება და თავს ვალმოხდილად გრძნობს, თუ რკინიგზის წესდების საფუძველზე ვაგონების მომცდენ ორგანიზაციას ჯარიმებს გადაახდევინებს. ამ მრავე რკინიგზის წესდების მოთხოვნები რკინიგზელთა სასარგებლოდ შედგა ზუსტად სრულდება. სამწუხაროდ, ბევრი რკინიგზელი შეეჩვია ამ აზრს და მხოლოდ ჯარიმების დადება-გადახდევინებაში ხედავს თავის ძირითად ამოცანას. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, რესპუბლიკაში ვაგონების მოცდენების მინიმუმამდე დაყვანას, მათ ლიკვიდაციას ჯარიმები ვერ შეცვლის.

ის აზრი, რომ ვაგონების მომცდენ ორგანიზაციას ჯარიმები არ აცდება, ზოგიერთ რკინიგზელს ბრჭყალს, გზას აცდენს, ასუსტებს მის პასუხისმგებლობას. ზოგჯერ რკინიგზის წესდებია დოგმატურ გამოყენებას კურიოზულ შედეგებამდეც მივიყვანართ. მაგალითად, 1975 წლის მაისში სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ლილოს საშენ მასალათა კომბინატში (დირიქტორის მოადგილე ბ. გოცაძე) თავიანთ საჭიროებისათვის ასბესტით დატვირთული ვაგონი მიიღეს. მაგრამ ამით მაინცდამაინც არავინ დაინტერესებულა. უფრო მეტიც, აღნიშნულ ვაგონზე გაფორმდა საბუთი, რომელშიც ასბესტის ნაცვლად იზოლი ჩაიწერა და სხვა მიმართულებით გაიგზავნა. უკონტროლობის და უპასუხისმგებლობის შედეგად ლილოს საშენ მასალათა კომბინატის პროდუქციიან გარდაბანში, თბილისის სახელმწიფო თბილეტრანსადგურის (დირიქტორი ნ. ნიკოლაიშვილი) ტერიტორიაზე ამოჰყო თავი. თბილეტრანსადგურის ხელმძღვანელებს არასწორად მიღებული ტვირთის დაცლაზე არც კი უფიქრიათ. მხოლოდ 10 დღის შემდეგ თბილეტრანსადგურის ხელმძღვანელობამ არასწორად მიღებული ტვირთის შესახებ აცნობა გარდაბნის რკინიგზის სადგურს (უფროსი ა. გოგოლაძე). იქ კი ეს ამბავი ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვალეს და არც გაკვირვებიათ. არავინ იცის, რამდენ ხანს იდგებოდა ასბესტით დატვირთული ვაგონი თბილეტრანსადგურის ჩიხში, რომ საქმეში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი არ ჩარეულიყო. სწორედ კომიტეტის დაჟინებული მოთხოვნით რკინიგზამ „დაარღვია“ წესდების მოთხოვნა და შეცდომით სხვაგან გაგზავნილი ტვირთი თავის პატრონს დაუბრუნა. ამ საქმეს 37 დღე შეეწირა. ვაგონი 724 საათით მოცდა და თბილეტრანსადგურის ჯარიმამ 3,7 ათასი მანეთი შეადგინა.

ეს ფაქტი ერთადერთი როდია. მიმდინარე წლის მაისში პურპროდუქტების გორის საწარმოო კომბინატში ცარცით დატვირთული ვაგონი მიიღეს, მაგრამ ტვირთი არ გადმოცალეს. მოცდენის გამო ჯარიმების თავიდან ასაცილებლად გორის რკინიგზის სადგურს ყალი საზური წარუდგინეს და 26 მაისს დამზადების სამინისტროს მარნეულის პურის მიმღებ ორგანიზაციას ცარცით დატვირთული ვაგონი გაუგზავნეს, რომელიც კომბინირებული ხაკვები, მარნეულის პურის მიმღებმა ორგანიზაციამ (დირექტორი დ. ქარსელაძე), რომლის მისამართზეც მივიდა ცარცით დატვირთული ვაგონი, სახწრაფოდ შეატყობინა ამიერკავკასიის თბილისის რკინიგზის განყოფილებას, მაგრამ განყოფილებაში არაუოპერატიული ღონისძიება არ მიიღეს, არამედ არც განძრეულან. ამის გამო მარნეულის პურის მიმღებ ხაწარმოში ვაგონი 25 დღეს იდგა და ჯარიმამ 1032 მანეთი შეადგინა.

საქართველოს სსრ კონტროლის კომიტეტმა თავის ამსჯნინანდელ სხდომაზე განიხილა ტვირთების გადაზიდვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები და გორის პურპროდუქტების საწარმოო კომბინატის დირექტორს ა. გოზალიშვილს ვაგონის თვითნებურად გაგზავნისა და ყალბი საბუთების შექმნისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური. საყვედური გამოეცხადა აგრეთვე გარდაბნის სადგურის უფროსს ა. გოგოლაძეს. ვაგონების მოცდენის აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებების გაუტარებლობისათვის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსს შ. ცინცაძეს და მის მოადგილეს გ. წერეთელს მკაცრად მიეთითათ.

ჯ. ახვლედიანი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ქალაქის კონსტროლიორ

სახალხო კონტროლის გვერდი №103

სახალხო კონტროლის კომიტეტებში

ცხაკაია

კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა შეამოწმა „საქმიანობის“ ცხაკაიას განყოფილებასა და რაიკომერატივის საზეგანო ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მდგომარეობა. ამ მიმართულებით ზოგიერთ გაკეთებულია, მაგრამ ჯერ ობიექტები, ოომლებიც მოუმზადებელი შეხვდნენ ზაფხულს. მაგალითად, ხალიჩების კომბინატში არა აქვთ პროდუქტების დასაბუნებელი მაგიდები, შესასვლელი სათავსები, არ მუშაობს კანალიზაცია, ირღვევა სანიტარული წესები. ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის მუშათა სასადილოში ცხელი წყალი არ არის, შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული ადგილობრივი მრეწველობისა და ხორშის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის სასადილოები. სანიტარული წესები ირღვევა რაიკოოპერატივის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკაში, ნოქალაქევის თუთის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში, სოფელ ზანის, ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობების სასადილოებში.

კონტროლის კომიტეტმა — „საქმიანობისა“ და რაიკოოპერატივის დირექტორებს ა. მზარელუას და მ. ჩიბრავას მითითება მისცა და გააფრთხილა, რომ თუ ნაკლოვანებები უახლოეს დროში არ იქნა აღმოფხვრილი, ისინი მკაცრად დაისჯებიან.

ბორჯომი

რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღების მიმდინარეობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მდგომარეობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ახალდაბის და ზენავ-ოფეღელის კოლმეურნეობებში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების დამზადება. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომმა“ (დირექტორი ქ. ხარისჩირაშვილი), შუშის ქარხანამ (დირექტორი ვ. ჩხაიძე), კურორტების სამშენებლო სამმართველომ (უფროსი თ. არუცევი), რაიმსაავადმყოფომ (მთავარი ექიმი თ. გოორგაძე), ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებმა (დირექტორები ა. მახარაძე, ლ. გოცირიძე), სახელმწიფო ნაკრძალმა (უფროსი ი. ბლიაძე), ახალი დაბის სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი თ. სირაძე) ლაკანისა და პატარა ცემის სანატორიუმებმა (დირექტორები უ. ფანცულაია და შ. ტაბატაძე) ვერ უზრუნველყვეს მოსავლის აღებაზე მუშების გაგზავნა და საშეფო დახმარების გაწევა. ბევრ კოლმეურნეობაში სუსტია შრომის ორგანიზაცია, მექანიზაციის დონე და სხვ.

კოსტროლის კომიტეტმა ეს საკითხი დასვა ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის განსახილველად.

გარდაბანი

სიმინდის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომთან და შმრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის 1975 წლის 10 აპრილის დადგენილების შესრულების შემოწმებისას გამოირკვა, რომ ამ მიმართულებით ბარშანდელ თან შედარებით ზოგი რამ გაკეთებულა. მარტყოფის, თელეთის, მუხროვანის, ახალი სამგორის, კოწანისის საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს სიმინდის მოსავალს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჯანდარის საჯიშე მეცხოველეობის (დირექტორი გ. ჭარელაშვილი), სართიჭალის მერძევეობა-ძროსტნეობის (დირექტორი ვ. კურტანიძე), გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის (დირექტორი გ. გასანოვი), გაჩიანის (დირექტორი შ. ლიპარტელიანი) საბჭოთა მეურნეობებზე. ბევრგან შეუწყნარებლად ჩიანურდება ნაწვერალზე სიმინდის თესვა, რწყვა.

კონტროლის კომიტეტმა საკითხი განსახილველად შეიტანა საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომში.

თეთრი წყაროს

ყველ-ქარაქიძ ქარხანაში მოხმარი დარღვევების შესახებ ინსპექტორ-კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. აქ ადგილი ჰქონდა მეურნეობიდან რძის მიღების დროს ცხიმიანობის ხელოვნურად შემცირებას.

კონტროლის კომიტეტმა თეთრი წყაროსა და ასურეთის რძის მიმღები პუნქტის გამგე ს. ცომაია გადაყენა თანამდებობიდან. კომიტეტმა ცნობად მიიღო საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის ბიუროს დადგენილება ყველ-კარაქის ქარხნის ყოფილი დირექტორის ვ. ყიფშიძის განთავისუფლების შესახებ.

□ □

ეფექტურად

სახალხო კონტროლიორები რენტაბელობისათვის ბრძოლაში

რაგორ სრულდება სახელმწიფო გეგმები, ზემდგომი ორგანოების დადგენილებები, როგორ ვახორციელებთ მასობრივ კონტროლს?

ამ თვალსაზრისით ეუდგებით მოვალეობას, რომელიც გვაკისრია. ამას წინათ კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ საკითხი პურკომბინატში შემჩნეულ დარღვევებზე. გამოირკვა, რომ მათ ზოგიერთი ინვენტარის არასაკმარისობა, ტექნიკური რეჟიმის დაუცველობა იწვევდა. დაისახა ღონისძიებანი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, პურის ცხობის საქმის გაუმჯობესებისათვის. ამან დადებითი როლი შეასრულა.

ჩვენი განყოფილება დაინტერესდა მცირეძალოვან საწარმოთა რენტაბელობით, რომელიც, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე თქვა, წარმოების უმნიშვნელოვანესი სინთეზური მაჩვენებელი და თავისებური ბარომეტრიც არის. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა იყო შარშან უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებების ცხაკაიას საწავლო საწარმოებში, სადაც მთელ რიგ სახეებში გეგმები ვერ შეასრულეს და ჯარიმების სახით ათასობით მანეთი გადაიხადეს. ამაში ძირითადად ხელმძღვანელობაა დამნაშავე, მაგრამ სახალხო კონტროლის ჯგუფებიც ვერ გაიმართლებენ თავს. არ იგრძნობა სისტემატური ყურადღება და საწარმოო პროცესებში ჩაუდომა, კონტროლის ქმედითობა.

ყურადღებით ეკიდებით ისეთ მტკივნეულ სამეურნეო საკითხებს, როგორიც არის შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადება, რკინიგზის სადგურის მიერ ვაგონების მიწოდება, მათი დროზე დატვირთვა-გადმოტვირთვა. ამ საკითხებს ზოგჯერ საკირო ყურადღებას არ აქცევენ № 1[illegible] და № 50-ე სამშენებლო მო[illegible] მექანიზებული კოლონები. შემოხვევაში წინადადებებს [illegible]ნებთ შესაბამისი საწარმოე[illegible] და სამშენებლო ორგანიზაცი[illegible] ხელმძღვანელების წინაშე, [illegible] საქმე არ შეფერხდეს და ნაკ[illegible]ვანებანი აღმოიფხვრას, ამას ზოგჯერ კონტროლის კომიტე[illegible] მსჯელობის საგად ვხდებით უ[illegible]ირათობის, სახელმწიფოს ხარჯ[illegible] „გულუხვობის“ ცალკეულ მა[illegible]ლითებს.

ამჟამად მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი მოვლენისათვის — [illegible] XXV ყრილობისათვის. ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები რა[illegible] თქმა უნდა, უფრო დიდი და და[illegible]ძაბული იქნება.

ჩვენი განყოფილება, რომელიც 15 შტატგარეშე ინსპექტორს ითვლის, კიდევ უფრო გააუმჯობესებს თავის საქმიანობას ახალი ამოცანების შესაბამისად.

ჟ. გვასალია,
ცხაკაიას სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მრეწველობის შტატგარეშე განყოფილების გამგე.

ქალაქის კონსტროლიორ

სახალხო კონტროლის გვერდი №103

ალე დაირეკება სექტემბრის ზარი

სად ისწავლიან სინაგურელები?

ივნისი სასწრაფო დავალება — შეგვეფსებინა რა აფერხებს მალალმთიანი სოფლის სინაგურის საშუალო სკოლის შენობის დროულად გაგებას.

ჯავის რაიონის ხელმძღვანელობა კორესპონდენტის სტუმრობას მაინცდამაინც დიდი ხალისით როდი შეხვდა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, არ დაუფარავთ რეალური მდგომარეობა, რომ სინაგურის საშუალო სკოლის მშენებლობა ძალზე ჩამორჩენილია. დღეისათვის 254 ათასი მანეთიდან მხოლოდ 55.485 მანეთია ათვისებული. ჩამორჩენის მიზეზს ამბობენ ბევრ ეგზეკ, ეგ ბევრ ეგ ეგ ეგ

საქართველოს
რაიონებში
სოფი
გვატყობინებს ჩვენი
საკ. კორესპონდენტი

ხარაჩოები ახლახან ჩამოხსნეს



ქუთაისის ახალმშენებლობანი

მშენებლობის ხარაჩოებშია საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი ქალაქი ქუთაისი. თვე არ გაივლის, რომ აქ რამე მნიშვნელოვანი ობიექტი არ გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ამ ხუთ თვეზე აღებულ ნაგებობებს მშენებლებმა ახლახან ჩამოხსნეს ხარაჩოები.

კარგი ხარუკარი ელით ქალაქში ჩამოსულ ტურისტებს, ეს არის ახალი შვიდსართულიანი სასტუმრო, რომელსაც „ხვამლი“ ეწოდება (სურათზე მარცხნივ). სასტუმრო 500 ტურისტისათვის არის გათვალისწინებული. აქ შექმნილია დასვენებისა და გართობის ყველა პირობა. ხუთი სართული უჭირავს ტელეფონიზებულ, ლამაზი ავეჯით მოწყობილ მყუდრო ოთახებს. პირველ და მეორე სართულებზე განლაგდა სასტუმროს ადმინისტრაცია, კავშირგაბმულობის განყოფილება, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ფილიალი; მესამე სართულზე მოწყობილია საცეკვაო დარბაზი. სპეციალურ მოედნებზე ტურისტებს შეუძლიათ მიიღონ მზის აბაზანები;

ბავშვთა ბიბლიოთეკა ... ბ. ... ...